ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ
(შპს ინოვაციების სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნინო თაბაგარი
წევრი:
ნინო გედეხაური

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☒ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**ინოვაციების სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**416372696**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**რუსთავი**
ფაქტობრივი მისამართი	**რუსთავი, მე-7 მ/რ**
საფოსტო ინდექსი	**3700**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.schoolofinnovations.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	schoolofinnovations@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	+995 555 605 606 +995 593 31 90 10

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	**სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 2 აგვისტოს ბრძანება MES 1 24 0000935328**

ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	08.08.2024წ

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ***(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)***

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი, მე-7 მ/რ
საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი, მე-7 მ/რ
საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი, მე-7 მ/რ

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 2 აგვისტოს MES 1 24 0000935328 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ინოვაციების სკოლაში ვიზიტის შესახებ“ საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ინოვაციების სკოლაში (ს/კ: 416372696) დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტანდარტის შესრულების შემოწმება

ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ:

თავმჯდომარე:
ნინო თაბაგარი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრი- ნინო გადეხაური- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 8 აგვისტოს ბრძანების შესაბამისად ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა. შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი (დღის წესრიგი), რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების დირექციასთან პერსონალთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული დოკუმენტების და მტკიცებულებების წარმოდგენა.

ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
180	177

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

შპს ინოვაციების სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული პოზიცია, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე, მითითებულ ხარვეზზე. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს შესასრულებელი სამუშაო ვადები, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკი.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლა განვითარებაზეა ორინტირებული. სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე დასკვნის პროექტის თანახმად, 3.4 კომპონენტის ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასებული იყო როგორც „არ შეფასდა“, რადგან სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ. ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მხოლოდ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

ეროვნული ბიუროსთან 2024 წლის 23 ივლისს გაგზავნილი წერილი სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროსადმი და გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება შენობის მდგრადობის დადგენასთან დაკავშირებით;

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღების უზრუნველყოფის ვადა 2024 წლის 31 დეკემბერი.
ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოთაღნიშნული ინდიკატორი საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც „მეტწილად შეესაბამება“, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად მესამე სტანდარტის 3.4. ინდიკატორი შეფასდა, როგორც **„მეტწილად შეესაბამება“.**

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

<table>
<tr><td rowspan="3">მოსწავლეთა რაოდენობა:
365</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება

☒</td><td>აღწერა
(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td rowspan="2">ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება

☐</td><td rowspan="2"></td></tr>
<tr></tr>
</table>

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს შესაბამის ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახ დასკვნის წარმოდგენა 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. **(მეტწილი შეფასება)**

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლას მიეცა რჩევა ფიზიკის უსტატუსო მასწავლებელ დაადასტუროს საგნობრივი კომპეტენცია(გავლილი აქვს 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა) ან სკოლამ გაუფორმოს კვალიფიციურ კადრს ხელშეკრულ მოწვეული მასწავლებლის სტატუსით.
ინდიკატორი N3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა დ პროფესიული განვითარებ საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ გაწეროს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მეთოდოლოგია კონკრეტული მექანიზმებით.

ინდიკატორი N3.3.2.2.	სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლ საზოგადოების წევრების სასკოლ ცხოვრებაში ჩართულობა.	სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტში დაამატოს მოსწავლეთა თვითმმართველობა.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ განსაზღვროს ვიდეომონიტორინგზ პასუხისმგებელი პირი და შესაბამისი მექანიზმები (წესი),

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N.3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რჩევა: საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მოეწყოს გამწოვი სისტემა და დამონტაჟდეს ცეცხლგამძლე მასალით დამზადებული სადემონსტრაციო მაგიდა.
ინდიკატორი N3.6.1.2.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია სკოლამ გაწეროს კომპიუტერული (ციფრული) ტექნოლოგიების გამოყენების ინდივიდუალური გეგმა.
ინდიკატორი N 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის	სკოლას მიეცა რჩევა: სკოლის ვებგვერდი schoolofinnovations.ge გახდოს მუდმივ განახლებადი და ყველა საჭირო ინფორმაცია განათავსოს დროულად.

	პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
ინდიკატორი N 3.7.1.2.	სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.	სკოლამ მიიღო რჩევა: შპს ინოვაციებს სკოლამ შეიმუშავ შესყიდვების განხორციელების წესი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

შპს ინოვაციების სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების, ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის დებულებაში. სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: პარტნიორთა კრება (სკოლის მმართვის უმაღლესი ორგანო), დირექტორი, დირექტორის მოადგილე(ები-3), საქმის მწარმოებელი, იურისტი, ბიბლიოთეკარი, ექიმი/ექთანი, ფსიქოლოგი, IT მენეჯერი, სტრატეგიული განვითარებისა და კომუნიკაციების მენეჯერი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, დარაჯი, დამლაგებელი, ახალგაზრდული მუშაკი, მასწავლებელი, წრის/კლუბის მასწავლებელი, ოთხი საგნობრივი კათედრა. სკოლას შემუშვებული და დირექტორის ბრძანებით- N2/51 დამტკიცებული ააქვს, სკოლის დებულება. რომელშიც აღწერილია თითოეული პოზიციისა თუ სტრუქტურული ერთეულების მოვალეობები, მათ სამუშაო ფუნქციებზეც ასევე არსებობს დამატებითი დოკუმენტაცია: მაგალითად, პედაგოგიური საბჭოს დებულება, კათედრის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება და სხვა. ამასთან, თიეოეულ დასაქმებულთან იდება შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც ასევე ასახულია მათი ფუნქციები და მოვალეობები უფლებებთან ერთად.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებთან. გამონაკლისია **ფიზიკის მასწავლებელი, რომლის პირად საქმეში არ აღმოჩნდა 2019 წლის 20 აგვისტოს N174 ბრძანებით განსაზღვრული მასწავლებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.** „სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში ფუნქციები გადანაწილებულია სკოლის ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე, პასუხისმგებელი პირის საჭირო ადამიანური რესურსის ფუნქციების შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელიც სკოლის მიზნებისა და ძირითადი საქმიანობის შესრულებას უკავშირდება. სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N2-20 ბრძანებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია, ფორმალიზებული მიდგომებითა და სტანდარტული პროცედურებით უზრუნველყოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა, რათა ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით სკოლაში შექმნილი იქნას სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს
თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები.

ინდიკატორი 3.1.1.2დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება
- სკოლის სტრუქტურა
- უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები

- საშტატო ნუსხა
- 2/20 დირექტორის ბრძანება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის საქმიანობის წარმართვა და გაუმჯობესება მიმდინარეობს სკოლის მიერ შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება ისეთი ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, როგორიცაა: სამართლიანობა; თანასწორობა- ყველა თანამშრომლის მიმართ ვლინდება ერთგვაროვანი მიდგომა. მონაწილეობის და გუნდურობის პრინციპი: სკოლა უზრუნველყოფს შესრულებული

სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი 3.1.2.1.დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით დასტურდება, რომ სკოლის პერსონალის რაოდენობა და მათი სამუშაო დატვირთვა შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო პროცესს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიხედვით პერსონალის მხარდაჭერა და მისი ეფექტიანი მართვა მოიცავს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვას და რეალიზებას. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია ეფუძნება სკოლის სტრატეგიას და წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს. ამ პროცესში თითეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა დასახული მიზნების მისაღწევად. სკოლა პერიოდულად კითხვარების და ინტერვიუს საშუალებით ახდენს ადამიანური რესურსების საჭიროების დადგენას და მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით საჯაროდ აცხადებს კონკურსს ვაკანტური პოზიციის შევსების მიზნით.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის, მეოთხე თავის მეთერთმეტე მუხლში გაწერილია თანამშრომელთა შერჩევა, რომელიც ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე კონკურსების მეშვეობით. ობიექტურობის, სამართლიანობის და გამჭვირვალობის დაცვით. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, განისაზღვრება კონკურსის ვადები, საკონკურსო შემადგენლობა და სპეციალური მოთხოვნები. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას, საინფორმაციოდაფაზე,ხოლო ღია კონკურსის შესახებ -

საჯაროდ, ვებგვერდზე: www.pedagogi.ge/teachersjobs.ge.გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია. ვიზიტის დროს სკოლა გეგმავდა ცხრა ვაკანსიის გამოცხადებას.

სკოლის შინაგანაწესში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახულია ის, წესები მოთხოვნები და პროცედურები, რომელსაც ახორციელებს სკოლა დასაქმებულის აყვანის მიზნით.

კონკურსის ეტაპებია:

ა) კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;

ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება;

გ) კონკურსის შედეგების განსაზღვრა.

დირექტორის ბრძანებით N 2/32- დამტკიცებულია დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სამუშაოდ მიღებულ ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში მიღებულ დასაქმებულ იხსნეპირზება პირადი საქმე, რომელშიც ინახება ავტობიოგრაფია/CV, ფოტოსურათი, ნასამართლობის ცნობა (მასწავლებელზე), სქესობრივი დანაშაულის შესახებ ნასამართლობის ცნობა, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, პირადობის მოწმობის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

და სერტიფიკატების ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა/მასწავლებლობის მაძიებლისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტისა) ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე, შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე.

ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;**

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლაში ამ ეტაპზე სულ დასაქმებულია 43 ადამიანი, აქედან 24 მასწავლებელი, ერთი უსტატუსო(ფიზიკის

მასწავლებელი) რომელსაც გავლილი ააქვს მასწავლებლის 60 კრედიტიანი პროგრამა და მეორე უსტატუსო სპორტის მასწავლებელი, რომელსაც გააჩნია საჭადრაკო წოდება - B კატეგორიის ჭადრაკის მწვრთნელი/ეროვნული ოსტატი. 9 წრის/კლუბის მასწავლებელი, 1 დირექტორი, 3 დირექტორის მოადგილე, 1 ახალგაზრდული მუშაკი, 1 იურისტი, 1 ბუღალტერი, 1 ექთანი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 დარაჯი, 3 დამლაგებელი, IT მენეჯერი, 1სტრატეგიული განვითარებისა და კომუნიკაციების მენეჯერი, 1 ფსიქოლოგი, ხოლო ნაწილი პოზიციებისა არის ვაკანტური. სკოლაში, როგორც მასწავლებლების, ასევე, სხვა პირების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია ყველა საჭირო ცნობებით: ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის ცნობა.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა: ფიზიკის უსტატუსო მასწავლებელმა დაადასტუროს საგნობრივი კომპეტენცია ან სკოლამ გაუფორმოს კვლიფიციურ კადრს მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით და განხორციელებული პროექტებით თვალნათელია, რომ სკოლის მართვა ხორციელდება პერსონალის მაღალი ჩართულობით და თანამშრომლობით. სკოლის ორგანიზაციული კულტურა მონაწილეობითი მართვის პრინციპებზეა დაფუძნებული, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოტივაციის გაზრდას და პოზიტიურ სასკოლო გარემოს შექმნას. სკოლამ წარმოადგინა გუნდური მუშაობის და გადაწყვეტილებების მონაწილეობითი პრინციპით მიღების მტკიცებულებები: შეხვედრის ოქმები განხორციელებული პროექტები, ურთიერთდასწრების ჩექლისტები.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლას ააქვს წარმატებული გამოცდილებისა აღიარების და გაზიარების პრაქტიკა.
სკოლა ხელს უწყობს პედაგოგთა პროფესიულ და კარიერულ წინსვლას. უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. წახალისებულია თითოეულის ინიციატივა. სკოლაში წარმატებული გამოცდილება აღიარებული და გაზიარებულია როგორც სკოლის შიგნით, ისე სკოლის გარეთ. სკოლის ფეისბუქ გვერდზე გაზიარებულია განხორციელებული საინტერესო და შემეცნებითი აქტივობის ამსახველი მასალა. სკოლის პედაგოგები აქტიურად უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს. წარმატებული პრაკტიკის გაზიარების მიზნით სკოლამ სრული დაფინანსებით უზრუნველყო თანამშრომლების ვიზიტი ესტონეთში. წარმატებული პრაქტიკა გაზიარებულია სხვადასხვა ფორმატით, რაც გამოიხატება როგორც ვერბალური ფორმით, ასევე, ურთიერთადსწრებით, კათედრების მუშაობით, შემოქმედებითი პროდუქტების შექმნით და სხვა. საგნობრივი კათედრები აქტიურად არიან ჩართულნი საკუთარი გამოცდილების კოლეგებისთვის გაზიარების პროცესში, პედაგოგების მოტივაციის ამაღლების მიზნით სკოლა იყენებს შინაგანაწესით გათვალისწინებულ წახალისების სხვადასხვა ფორმას, როგორიცაა: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფულადი პრემიის გაცემა, ფასიანი საჩუქრები და სხვა. წლის ბოლოს, მშობლების შეფასების და კათედრების ანგარიშების საფუძველზე სკოლამ სამ მასწავლებელს ჩაურიცხა ერთჯერადი ფულადი პრემია, რომელიც დასტურდება დირექტორის ბრძანებით N2/11
ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი ;
- შრომითი ხელშეკრულებები
- ვაკანსიის გამოცხადების ვებგვერდის ლინკი

- ვაკანსიის ოქმები
- პერსონალის პირადი საქმეები;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
- საშტატო განრიგი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- შეფასება:
- დირექტორის ბრძანება N2/11და 2/29 ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემის თაობაზე.
- https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSe02OyciuKgreE შეფასების კითხვარები მასწავლებლებისათის და მშობლებისთვის.
- კათედრის ოქმები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მშობელთა კრების ოქმი გერმანული ენის არჩევა მეხუთე კლასში;

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

ინოვაციების სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ამოცანებია:

● სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით;

● სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა;

● სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესატყვისი ღონისძიებების განხორციელება;

სკოლა საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავს და ახორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებებს: ახალი თანამშრომლებისათვის ტარდება შეხვედრები ორგანიზაციული კულტურის, სკოლის მისიისა და მიზნების გასაცნობად, საჭიროებისამებრ თანამშრომლებისთვის ტარდება ორგანიზაციული შეხვედრები ელ. ჟურნალისა და სხვადასხვა საგაკვეთილო თუ სამუშაო პროცესში საჭირო პროგრამების გამოყენებაში (WORD, EXEL, POWER POINT და ა.შ). თანამშრომლებს პერმანენტულად ეგზავნებათ ინფორმაცია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგ კურსების შესახებ. აქტიურად გამოიყენება სკოლის შიდა ადამიანური რესურსი - სკოლის დირექტორი, კათედრის

ხელმძღვანელები, ტუტორები, რომლებიც ატარებენ შესაბამის ტრენინგებს. სკოლის ბიბლიოთეკა მომარაგებულია შესაბამისი პროფესიული ლიტერატურით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ყველა დაინტერესებული პირისათვის.
სკოლაში ხორციელდება პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. სკოლის დირექტორის N2-35 (11.09.2023) ბრძანებით შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დკუმენტი, რომელშიც გაწერილია დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა. (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. შემუშავებულია ამ ჯგუფის მუშაობის დებულება. ხარისხის განვითარების ჯგუფმა წარმოადგინა გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირის ფორმა. ასევე, მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი ოქმებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ შეხვედრებზე ძირითადი აქცენტი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას, მასწავლებელთა მიერ შემოქმედდებითი დავალებების განხილვას და მათ რეფლექსიას ეხებოდა. ადგილზე ვიზიტისას დადგინდა, რომ პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენა ასევე ხდებოდა პირისპირ შეხვედრებით კათედრების სხდომებზე.
სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ გაწეროს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მეთოდოლოგია კონკრეტული მექანიზმებით.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
სკოლა შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროებების კვლევას და აღნიშნულის საფუძველზე პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავებას. ამისათვის გამოყენებულია კათედრის სხდომის ოქმები, სადაც განიხილება და

იკვეთება საჭიროებები. ამასთან, დირექტორი სემესტრში ორჯერ ხვდება ინდივიდუალარ და ჯგუფურად, რა დროსაც ხდება გასაუბრება, ტარდება ქუიზები, ასევე ხორციელდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები. აღნიშნულის საფუძველზე დგება გეგმა ინდივიდუალური ფორმით, რომლითაც ხორციელდება გასაუმჯობესებლ მხარეებზე მუშაობა.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მხარდაჭერილია სხვადასხვა ფორმით და თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა პედაგოგისთვის. სკოლა მასწავლებლის პიროვნების პროფესიული განვითარებისთვის იყენებს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა: სკოლის ბაზაზე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ტრენინგები, ურთიერდახმარება სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების გაზიარებით, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა, დირექციისა მხარდაჭერა.

გარდა ამისა, სკოლა ეხმარება თანამშრომლებს სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობაზე, რასაც თავად სკოლა აფინანსებს. სკოლაში ვიზიტის განმავლობაში ინტერვიუს დროს ხარისხის მმართვის მენეჯერმა დაადასტურა, რომ პედაგოგები მუდმივად ზრუნავენ პროფესიულ საქმიანობის გაუმჯობესებაზეა. დილობენ წინსვლას. მასწავლებლები აბარებენ საგნობრივ გამოცდებს, განხორციელებული აქტივობების შესაბამისად ქმნიან პორტფოლიოს და ემზადებიან წინსვლისთვის. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე, თუმცა სკოლა თანაბარ პირობებს ქმნის ყველა მასწავლებელისთვის ამაღლების, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით სკოლა რეკომენდაციას უწევს და სთავაზობს ტრენინგებს, ვორქშოფებს,

კონფერენციებს, სადაც მასწავლებლებს აქვთ საშუალება დაესწრონ, მიიღონ მონაწილეობა, გამოცდილება გაუზიარონ კოლეგებს და გასცენ კონსტრუქციული უკუკავშირი, გაიუმჯობესონ პედაგოგიური პრაქტიკა და საჭიროების შეთხვევაში განახორციელონ მიზნობრივი ინტერვენციები სასწავლო პროცესში, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ისე მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, რადგან მასწავლებლების პროფესიონალიზმი პირდაპირ უკავშირდება მოსწავლის წარმატებაზე.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის შესახებ მექანიზმი გაწერილია -ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის დოკუმენტში. (ბრძანება N 2/22) დოკუმენტის მიხედვით პროცედურა ეხება იმ თანამშრომელსაც, რომელიც სკოლაში ერთი პოზიციიდან მეორეზე გადადის, ასევე იმ თანამშრომლებს,რომლებსაც სხვადასხვა მიზეზით ჰქონდათ სამუშაო წყვეტა.(მაგ დეკრეტული შვებულება; სასწავლო შვებულება ან შრომის უნარიანობის დაქვეითებით) ახალი კადრის მიღების შემთხვევაში მისი წარდგენა ხდება კოლექტივის წინაშე (პედსაბჭოს სხდომაზე), მექანიზმში ასევე გაწერილია არაფორმალურ და ფორმალურ გარემოში შეხვედრები, კათედრის წევრების გაცნობა, სხვა პედაგოგთა გაკვეთილებზე დასწრება, სასკოლო ღონისძიებებში ჩართვა და ა.შ. ახალი პედაგოგი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს, სხვა საჭირო დოკუმენტაციას და გადაეცემა სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრუულების ეგზემპლარი. სკოლა ეხმარება ახალ თანამშრომლებს, გაეცნონ სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. სკოლას შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა. აღნიშნული წარმოადგენს წესს, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული ადამიანების ადაპტაციას სამუშაო თანამდებობით გათვალისწინებულ საქმიანობასთან. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე ხშირად ხდება კადრების პოზიციების ცვლილება ან დამატებით ახალი კადრების მიღება.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. შინაგანაწესში გაწერილია წახალისების ფორმები არსებული ბიუჯეტისა და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლის შინაგანაწესის მეექვსე თავის მე-12 მუხლში გაწერილია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. ამ წესის მიხედვით პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს, განხორციელდა პერსონალის შეფასება მის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში განხორცილებული აქტივობების შედეგების მიხედვით, შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე და განხორციელდა პერსონალის წახალისება სხვადასხვა ფორმით: დირექტორის ბრძანებით წლის ბოლოს სამ მასწავლებელს გადაეცა ფულადი პრემია. ერთი მასწავლებელი სრული დაფინანსებით გაემგზავრა სასწავლო ვიზიტით ესტონეთში.
სკოლა ძირითადად იყენებს წახალისების ა. და ბ. მხოლოდ ერთხელ გამოიყენა დ. პუნქტი.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი
- ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის დოკუმენტში.
- ბრძანება ფულადი ჯილდოს შესახებ.
- შეფასება:
- ფეისბუქგვერდი
- დირექტორის ბრძანება N2-29

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;**

მისიით დასახული მიზნების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს:
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, წესების და პროცედურების შემუშავებას, განხორციელებასა და შეფასებას. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული ააქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტის მიხედვით სასწავლო პროცესის ხარისხსის უზრუნველყოფის დაგაუმჯობესების მიზნით სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური

რესურსების გაუმჯობესებას, შეფასების ორი გზით: შიდა დაგარე შეფასებით. შიდა ხარისხის მართვის სისტემა-დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე განავითარე. (PDCA) პრინციპით. გარე ხარისხის კონტროლის სისტემა: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ავტორიზაციის გავლა.

სკოლის პედაგოგიურ საზოგადოებასთან საუბრით გამოიკვეთა, რომ მათ ზუსტად ესმით სკოლაში მიმდინარე პროცესების არსი. კერძოდ ის, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების ერთობლიობას, გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

ინოვაციების სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დებულება, რომელშიც აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

●სკოლის მმართველობითი პროცესებია:

ა) სტრატეგიული დაგეგმვა;

ბ) წლიური დაგეგმვა;

გ) ხარისხის უზრუნველყოფა;

● სკოლის ძირითადი პროცესებია:

ა) კურიკულუმის განვითარება;

ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;

● სკოლის დამხმარე პროცესებია

ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება;

ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება;

გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება;

დ) ფინანსური რესურსებს მართვა;

ე) ადამიანური რესურსების მართვა;

ვ) მატერიალური რესურსის მართვა;

ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა;

თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;

ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);

კ) კარიერული განვითარება;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, რომლის თაობაზეც სკოლას დამტკიცებული აქვს განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა.(დირექტორის ბრძანება 2/33 -08.09.2023) წინამდებარე პროცედურა ეხება ინოვაციების სკოლის მთელ საზოგადოებას - მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და სკოლის თანამშრომლებს.

საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს მატერიალურად სკოლის მისამართზე, ფოსტის საშუალებით ან განცხადების ფორმის საშუალებით ელექტრონულად წერილის კვალიფიციური ხელმოწერით დადასტურების შემთხვევაში, ხოლო საკითხი უნდა გადაწყდეს დროულად, სამართლიანად და თანმიმდევრულად.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

- სკოლას აქვს შინაგანაწესი;
- სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;
- სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;
- სკოლას ჰყავს ექთანი და ექიმი;
- თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;
- სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
- შპს ინოვაციების დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N 2/33 ბრძანებით დამტკიცებულია განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა

თითოეული მოსწავლის მშობელთან სკოლა აფორმებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.
გასაუბრებისას სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ ამ დრომდე სკოლაში არ დაფიქსირებულა საჩივრის შეტანის ფაქტი, სკოლას არ აქვს საჩივრის მიღებიასა და რეაგირების პრაქტიკა. შესაბამისად არ მოიძებნება ამ საკითხთან დაკავშირებული მასალა. უახლოეს პერიოდში არ დაფიქსირებულა დისციპლინარულ კომიტეტში მიმართვა დისციპლინარული დარღვევის შესახებ.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- სკოლის წესდება;

- სკოლის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- კათედრის და პედსაბჭოს ოქმები;
- განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
- პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;
- შინაგანაწესი.
- საჩივრის განხილვის პროცედურის,დირექტორის შესაბამისი ბრძანება N2/33 08.09.2023

4.**სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სკოლის დირექტორის2023 წლის 8 სექტემბრის ბრძზანებით N 2/33 დამტკიცებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები, რათა დეტალურად მოხდეს პროცესის თანმიმდევრობის გაწერა. აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე ვინც სკოლას განცხადებით/საჩივრით მიმართავს. განცხადების/საჩივრის ფორმა უნდა იქნას წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და განხილული ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით დადგენილ ვადებში. დოკუმენტი მოიცავს განცხადების საჩივრის წარდგენის ზოგად წესებს, ვადებს, საჩივრის განხილვას გადაწყვეტილების პროცედურებს, საჩივრის განხილვის შედეგებს. სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უფლება/მოვალეობების ჩამონათვალს. სკოლის პერსონალსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება . პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელისმოწერით დასტურდება შინაგანაწესის გაცნობა. სკოლის დირექტორის 2024 წლის 11.09.2023 -ის ბრძანება N2-26-ით დამტკიცებულ,სკოლის მიერ შემუშავებულ „პერსონალის დამშობლის//კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“.

ინდიკატორი 3.3.1.4 . დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი ერთწლიანი სამოქმედო გეგმები,
- შინაგანაწესი
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 11.09 -ის ბრძანება N2- 26-ით დამტკიცებულ, სკოლის მიერ შემუშავებულ „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი,
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბერის N2-13 ბრძანებით დამტკიცებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები
- სკოლის შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

სკოლა უზრუნველყოფს მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებას, ასევე უკუკავშირის მიღებას და ახდენს მასზე რეაგირებას. სკოლას აქვს მოქმედი და მუდამ განახლებადი ფეისბუქ გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია

სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ. სკოლას აქვს ვებგვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, შინაგანაწესი, სკოლის სტრუქტურა და სასკოლო სასწავლო გეგმა,

სასკოლო საზოგადოების ინფორმირება არის სისტემატიური და გამჭვირვალე. (სკოლის შინაგანაწესი და საჭირო დოკუმენტაცია გაზიარებული სკოლის საინფორმაციო დაფაზე, პედსაბჭო, კათედრის სხდომები, სოც. ქსელში შექმნილი ჯგუფი). სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ სკოლაში რეგულარულად ტარდება მშობლებთან შეხვედრები, სადაც მშობლები აფიქსირებენ თავიაანთ მოსაზრებებს მმართველობით, ძირითად დადამხმარე პროცესებთან დაკავშირებით.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული ააქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი.(ბრძანება N2/31; 08.09.2023)

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა.

სკოლაში არსებობს დირექტორთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. უნდა აღინიშნოს, რომ მოსმოსწავლეთა თვითმართველობა, რომელიც და აქტიურად ჩათულია სასკოლო ცხოვრებაში და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს არ არის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში შეტანილი. სასურველია სკოლამ დაამატოს სტრუქტურული ერთეულების ნუსხას მოსწავლეთა თვითმმართველობა.

აღნიშნული დასტურდება მათი მუშაობის ამსახველი ოქმებით, სადაც ნათლად ჩანს სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ისინი ესწრებიან მშობელთა კრებებს, გამოთქვამენ ინიციატივებს სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ, დადიან გასვლით ღონისძიებებზე თავიანთ შვილებთან ერთად. კოლეგიურ ორგანოებში მშობელთა ჩართულობა არ არის, თუმცა, ისინი ჩართული იყვნენ კმაყოფილების კვლევაში ან სხვა ტიპის საკითხებთან დაკავშირებულ გამოკითხვებში.

სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტში შეიტანოს მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს დებულება
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- ხელშეკრულება მშობელსა და სკოლას შორის
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

შპს „ინოვაციების სკოლას“ შემუშავებული აქვს სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 სექტემბრის N 2/38 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ინოვაციების სკოლის“ შპს ინოვაციების სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.“ რომლის მიზანია:

- ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;

- სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
- სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;
- უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა.

  წესი აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინოვაციების სკოლაში წესრიგის დაცვისა და ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს, განსაზღვრავს სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ ღონისძიებებს და შეიმუშავებს ამისთვის საჭირო მექანიზმებს.

  ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია:
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112 (შემდგომში – 112);
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობის სამინისტროს ნომერი – 2 200 220;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის (სამმართველოს) ცხელი ხაზის ნომერი
- 08 00 00 00 88;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომერი – 2 200 220 (3335);
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის საკონტაქტო
- საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი
- სკოლის ფსიქოლოგის ტელეფონის ნომერი

სკოლა წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს ადმინისტრაციის, დარაჯის, სართულების მორიგეების, დისციპლინური კომიტეტისა და საგანგებო და ხანძარსაწინააღმდეგო სიტუაციებისთვის შექმნილი შტაბის მეშვეობით.

სკოლის ტერიტორია სრულად შემოღობილია.

სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და ფსიქოლოგიურ თრობაზე პასუხისმგებელო პირი; უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი;

სკოლას განსაზღვრული ჰყავდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირები. 2024 წლის 23 ივლისს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „სეიფთი ქორფ "-თან, რომელიც განახორციელებს შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვასა და მონიტორინგს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის დანერგვასა და მონიტორინგს.

შინაგანაწესისთა და ზემოთ აღნიშნული დებულებით აკრძალულია სკოლის ტერიტორიაზე კონკრეტული ნივთებით შემოსვლა/გადაადგილება. წესრიგის დაცვისა და დარღვევათა პრევენციის მიზნით სკოლის შენობასა და პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემები. სკოლაში დამონტაჟებულია 24 ვიდეოსათვალთვალო კამერა, რომელთაგან გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 3 ცალი 3 მგპ და 4 ცალი 4 მგპ კამერა.

შენობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ 2024 წლის 23 ივლისს სკოლამ მიმართა სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროსათვის, რის თაობაზეც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

სკოლას აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებული აქვს ბრძანება ბრძანება N 2/5-ით.

შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენი მიზნით სკოლამ მიმართა შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფთხოების მართვის ცენტრს(112) წერილით და ელოდება შესაბამის წინადადებების მომზადებას. სკოლაში ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, საევაკუაციო გასასვლელის ნიშნულები, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა.

სკოლამ მიიღო რჩევა : სკოლამ განსაზღვროს ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და შესაბამისი მექანიზმები (წესი),

სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება, შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად დაკმაყოფილდა

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

შპს ინოვაციებს სკოლას აქვს სამედიცინო პერსონალის(ექიმის) დებულება, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. ჰყავს ექთანი და გეგმავს ექიმის აყვანასაც. ექთანი თავის საქიმიანობაში სკოლის შინაგანაწესით, დებულებით, სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამართლებრივი აქტებითა და ამ ინსტრუქციით, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტებით. ექთანი თავისი საქმიანობისას იყენებს სკოლაშიგაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმას, სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს.

სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც განთავსებულია სკოლის შენობის მეორე სართულზე. კაბინეტში არის საკმარისი სივრცე პირთა მისაღებად და საჭირო ინვენტარის გამოსაყენებლად. კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. კაბინეტი შესაძლებელია განიავდეს ბუნებრივი ვენტილაციის გზით. კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა ინვენტარით. კაბინეტში განთავსებულია მაცივარი . ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რისთვისაც ყავს დარაჯი. შემოსასვლელში ხდება უცხო პირთა რეგისტრაცია, ასევე, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ზედაპირულ დათვალიერებზე პასუხისმგებელი პირი, უფლებამოსილი პირი, ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და ფსიქოტროპულ ნივთიერებების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ფუნქციონორებს მასწავლებელთა მორიგეობა, 2024 წლის 23 ივლისს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „სეიფთი ქორფ "-თან, რომელიც განახორციელებს შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვასა და მონიტორინგს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის დანერგვასა და მონიტორინგს. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

სკოლას საშტატო განრიგით გათვალისწინებული აქვს ფსიქოლოგის შტატი. სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი- 2023 წლის 11 სექტემბრის N 2/37 ბრძანებით დამტკიცებული „ შპს ,,ინოვაციების“ ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმები“ , რომლის მიზანია:

- მოსწავლეების აკადემიური, პიროვნული, სოციო-ემოციური და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- ჯანსაღი, გაწონასწორებული, უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა სკოლაში;
- მასწავლებელთა კონსულტირება სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების პრევენციისა და გადაჭრის მიზნით;
- მშობელთა კონსულტირება სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების პრევენციისა და გადაჭრის მიზნით;
- ასაკობრივი სულიერი და სოციალური პრობლემების მართვა;
- მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობის ხელშეწყობა ბავშვის სტრესებისა და პრობლემების მართვაში;
- პირადი თუ ჯგუფური გაუცხოების მართვა და კონფლიქტების თავიდან აცილება;
- ბავშვებმა ისწავლონ თავიანთი ძლიერი და სისუსტეები დამათი გამოყენება და მართვა. რეგულაციის სფერ

სკოლას აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს ფსიქოლოგის დახმარებით მოსწავლეების აკადემიური, პიროვნული, სოციო-ემოციური და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა; ჯანსაღი, გაწონასწორებული, უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა სკოლაში; მასწავლებელთა კონსულტირება სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების პრევენციისა და გადაჭრის მიზნით; მშობელთა კონსულტირება სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების პრევენციისა და გადაჭრის მიზნით; ასაკობრივი სულიერი და სოციალური პრობლემების მართვა; მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობის ხელშეწყობა ბავშვის სტრესებისა და პრობლემების მართვაში; პირადი თუ ჯგუფური გაუცხოების მართვა და კონფლიქტების თავიდან აცილება; ბავშვებმა ისწავლონ თავიანთი ძლიერი და სისუსტეები დამათი გამოყენება და მართვა.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ სკოლაში არ არის კონფლიქტური სიტუაციები, მოსწავლეთა ან/და მასწავლებელთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომები. სკოლის ფორმალური და არაფორმალური განათლება , ჩამოთვლილი აქტივობები, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საკლუბო მუშაობა, ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ,

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სკოლის დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N22-ით დამტკიცებულია შპს ინოვაციების სკოლის სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი (შემდგომში წესი) შემუშავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად და ადგენს მოთხოვნებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სანიტარიისა და ჰიგიენის უზრუნველყოფისადმი. წესი მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- სანიტარიული და ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა სკოლაში;
- შენობის, ეზოსა და სათავსების სანიტარული კონტროლი სკოლაში;
- სანიტარული კვანძის დასუფთავების წესი;
- დასუფთავება და ნარჩენების მართვა სკოლაში;
- წყლით უზრუნველყოფა;
- სკოლაში სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები;

სკოლაში სანიტარიისა და ჰიგიენის დაცვაზე პასუხისმგებელი პირად წესის თანახმად განსაზღვრულია ექიმი/ექთანი. სკოლას აქვს შესაბამისი წყლის რეზერვუარები. საპირფარეშოები მოწესრიგებულია და განთავსებულია ყველა საჭირო ჰიგიენური საშუალება. სკოლას ჰყავს სამი დამლაგებელი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**
   სკოლას განსაზღვრული ყავდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირები.

2024 წლის 23 ივლისს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „სეიფთი ქორფ “-თან, რომელიც განახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის დანერგვასა და მონიტორინგს. მომსახურების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებია:

- პირველადი აუდიტი და პერიოდული მონიტორინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- მიმდინარე ტექნიკური და ადმინისტრაციული პროცესების ანალიზის საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება, რომელიც მოიცავს ინციდენტის მართვის სტრატეგიას და პირდაპირი მარკეტინგის პოლიტიკას/სტრატეგიას (საჭიროების შემთხვევაში), და მისი პერიოდული განახლება;
- ვიდეომონიტორინგის და აუდიომონიტორინგის (შემდგომში „მონიტორინგი“) განხორციელების წესის თაობაზე კონსულტაციის გაწევა და შესაბამისი მითითებების გაცემა (საჭიროების შემთხვევაში);
- მონიტორინგის თაობაზე შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის (პოლიტიკის) შემუშავება/განახლება, რომლიც უნდა ითვალისწინებდეს მონიტორინგის მოცულობას და მიზანს, მონიტორინგის ხანგრძლივობას, ჩანაწერის შენახვის ვადას, ჩანაწერზე წვდომას, შენახვისა და განადგურების წესს და პირობებს, პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმებს.
- პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის კანონით გარანტირებული უფლებების რეალიზების მიზნით, ინფორმაციის შემუშავება და ინფორმაციის მიწოდება ფორმების განსაზღვრა და შესაბამისი პროცედურების დადგენა;
- პერსონალურ მონაცემებთან შემხებლობაში მყოფი დასაქმებულებისთვის სწავლების ჩატარება;
- მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის მომზადება/კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად პერიოდული განახლება;
- პერსონალური მონაცემების გამოთხოვის, მიმართვის და ინფორმაციის მიწოდების შესახებ განცხადების ფორმის მომზადება;
- ზედამხედველ ორგანოსთან კომუნიკაციაში ჩართულობა, დამკვეთის ინტერესების შესაბამისად;

პერსონალური მონაცემის შესახებ მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში წარმოდგენილია ჩანაწერი. ასევე, სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლების თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

სკოლა უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. მოსწავლეთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენელის თანხმობის საფუძველზე. მოსწავლეთა და პერსონალის ყველა დოკუმენტი ინახება კანცელარიაში და მასზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის პირადი ინფორმაციის დაცვას. მონაცემის გაცემა ხდება ოფიციალური მომართვის საფუძველზე რისთვისაც შემუშავებულია „თანხმობის წერილი". მონაცემი გაიცემა იმ პირის თანხმობის შემთხვევაში, რომლის შესახებაც ითხოვენ ინფორმაციას. მოსწავლეების პირადი საქმე იწარმოება მატერიალურად. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლებს წვდომა აქვთ მხოლოდ თავიანთი მოსწავლეებზე, ხოლო დამრიგებლებს მხოლოდ თავისი კლასის მონაცემებზე. ამასთან, შეფასებების შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიწოდებათ ინდივიდიუალურად ელ. ჟურნალისა და პირადი შეხვედრების საშუალებით. სკოლის კომპიუტერს, რომელშიც ინახება ინფორმაცია, აქვს შესაბამისი დაშვების კოდი, რომელიც არ არის ცნობილი სხვა პირებისთვის, გარდა საქმისმწარმოებლსა, ხოლო მატერიალური დოკუმენტაცია ინახება დირექტორთან. შესაბამისად,

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

შეფასებისთვის სკოლა იყენებს გამოკითხვის ფორმებს GOOGLE FORMS კითხვარების მეშვეობით, რომელიც სკოლამ უკვე შეიმუშავა და ახორციელებს პერიოდულად.
კოთხვებით კონკრეტდება სასწავლო პროცესის, სასკოლო გარემოს, უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესების გზები, სურვილები და ინიციატივები, რასაც სკოლა იყენებს შემდგომი სამოქმედო გეგმის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- ბრძანება N23 შპს „ინოვაციების სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ";

- 2024 წლის 23 ივლისის წერილი სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროსადმი, გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.
- ბრძანება N 2/5 შპს „ინოვაციების სკოლის“ საგანგებო მართვის გეგმა;
- წერილი-თანხმობა საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცებაზე;
- მიმართა შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფთხოების მართვის ცენტრს(112) წერილი;
- შპს „ ინოვაციების სკოლაში“ მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება N 2/45;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ ბრძანება N 2/45 (01.06.2024);
- ბრძანება N 2/4 შპს ინოვაციების სკოლაში ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და ფსიქოლოგიურ თრობაზე პასუხისმგებელო პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N 2/37 შპს „ინოვაციების“ ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N 2/38 შპს „ინოვაციების სკოლის“ წესრიგის დაცვის მექანიზმების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N22 შპს ინოვაციების სკოლის სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ;
- საევაკუაციო გეგმა;
- ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი;
- კითხვარები;
- მშობელთან გაფორებული ხელშეკრულებები;
- პერსონალის თანხმობის ფორმები;
- ადგილზე დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

შპს“ინოვაციების სკოლა“ მდებარეობს ქალაქ რუსთავში , მე-7 მ/რ-ში..‘საჯარო რეესტრის ამონაწერით (საკადასტრო კოდები: 02.03.04.474.01/505. და 02.03.04.475.) მიწის დაზუსტებული ფართია 2206.00 კვ.მ; ხოლო შენობა-ნაგებობის :

შენობა N1 - განაშენიანების ფართით 1240,21 კვ.მ.

I სართული - 73.35 კვ.მ,

II სართული - 916,97 კვ.მ.

III სართული - 660.36 კვ.მ.

სხვენი - 97.42 კვ.მ

შენობა არის 10 წლის ვადით (2032 წლამდე) იჯარით აღებული (2022 წლის 8 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულება) შპს ჩირაღდანისაგან. სასწავლო დაწესებულება განთავსებულია სამსართულიან შენობაში. სკოლაში არის 23 საკლასო ოთახი. პირველ სართულზე განთავსებულია შესასვლელი სივრცე, სადაც ასევე მდებარეობს ვიდეოსათვალთვალო კამერების სერვერის ოთახი. ფოიეში განთავსებულია მოსასვენებელი სივრცე და საკითხავი ლიტერატურის კუთხე, სადაც განთავსებულია სტუმრებისთვის საკითხავი ლიტერატურა, ბუკლეტები და საინფომაციო ფურცლები. საკლასო ოთახები განთავსებულია მეორე და მესამე სართულზე. მეორე სართულზე არის 15 საკლასო ოთახი, ისტის ლაბორატორია,საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ადმინისტრაციის ოთახები, სამასწავლებლო . ორივე სართულზე განთავსებულია საპირფარეშოები , ხოლო მეორე სართულზე ადაპტირებული საპირფარეშო. შენობის მესამე სართულზე განთავსებულია რვას საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, მცირე სპორტული დარბაზი, ექიმის ოთახი. ძირითადი და დამხმარე სივრცეები. სკოლის აქვს აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია , რომელსაც არ აქვს გამწოვი კარადა. აქვს ბუნებრივი განიავების საშუალება . ლაბორატორიაში არ არის ცეცხლგამძლე მასალით დამზადებული სადემონსტრაციო დამაგიდა. ლაბორატორიას აქვს სველი წერტილი და სასწავ;ლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი. რეაქტივები დაცულია კარადაში. სკოლა სარგებლობს ვირტუალური ლაბორატორიით.

სკოლა არ აქვს გარე კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, მაგრამ ეზოში აქვს გამოყოფილი სივრცე, რომლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სპორტული მოედნის მოსაწყობად. ამ ეტაპზე სკოლაში ირიცხება 170 მოსწავლე . სკოლას მოთხოვნილი აქვს ზღვრული რაოდეობის გაზრდა 365 მოსწავლემდე. კონკრეტული რაოდენობის პროგნოზი სკოლამ დაადგინა კვლევებისა და გამოკითხვების შედეგად. მოსწავლეთა გაზრდილ რაოდენობას სკოლა უზრუნველყოფს სრულად მატერიალური რესურსით. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით(პირველ სართულზე საკლასო ოთახებში განთავსებულია 234 ცალი მერხისა და სკამის კომპლექტი, მეორე სართულზე განთავსებულია 139 მერხისა და სკამის კომპლექტი,), სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. ასევე, სკოლა გეგმავს ახლი მერხებისა და სკამების კომპლექტის შესყიდვას.

სკოლას აქვს მრავალი თვალსაჩინოება და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში: 31 კომპიუტერი და ნოუთბუქი,რომელთაგან იყიენებს 22 -ს ; 10 პლანშეტი , 5 VR სათვალე, საბუნებისმეტყველო

ლაბორატორიის კომპლექტი, პრინტერები, მათ შორის 1 3D პრინტერი, დაფები, სპორტული ინვენტარი და სხვა საჭირო რესურსი. სკოლას სარგებლობს ქ. რუსთავში მდებარე საცურაო აუზის მომსახურეობით შპს ,,თოლიასთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს ტრანსპორტირებასა და გამყოლს მოსწავლეებისათვის.
მასწავლებლები მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებს, რომლებიც მრავლად არის გრიფირებულ სახელმძღვანელოში განთავსებული.
სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, მოწესრიგებულია სველი წერტილები.
შესაბამისად,

რჩევა: საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მოეწყოს გამწოვი სისტემა და დამონტაჟდეს ცეცხლგამძლე მასალით დამზადებული სადემონსტრაციო მაგიდა.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

   სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N2/28 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სამუშაო დღეებისა და საათების განმავლობაში. საერთო სარგებლობის სივრცეები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, კომპიუტერული ტექიკითა და შემეცნებითი-გასართობი ლიტერატურით.
   შესაბამისად,

ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;**

   შპს „ინოვაციების სკოლას" შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. მათში აღწერილია ბიბლიოთეკის მუშაობის ამოცანები, მკითხველის უფლებები და მოვალეობები, ქცევის წესები,

სამუშაო დრო, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვის წესი და სხვა. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები ყველა კლასისა და საგნისთვის, ასევე, საჭირო დამატებითი რესურსები თუ მხატვრული ლიტერატურა. სკოლის ბიბლიოთეკა არ გამოირჩევა დიდი რესურსით, თუმცა საკმარისია მოსწავლეთა კონტიგენტის დასაკმაყოფილებლად. წიგნები დანომრილი და აღწერილია, ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს და მასწავლებელს. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი. სკოლას აქვს ელ კატალოგი. სკოლის დებულებით განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობა.ს ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და დებულება.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

შპს ინოვაციების სკოლა ადაპტირებულია და ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას არ აქვს ლიფტი, მიუხედავად ამისა, სკოლის შესასვლელში და შენობის კიბის უჯრედში მოწყობილია პანდუსი დაუბრკოლებლად გადაადგილებისთვის. მეორე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა (სპორტული სივრცე, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა და სხვა მატერიალური რესურსი) სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატება არაფორმალური განათლების კუთხით განხორციელებულ აქტივობებში, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია სასკოლო თემისთვის. სკოლაში არსებობს საერთო სივრცეები, სადაც გაკვეთილების შემდეგ ხორციელდება სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. აქვთ შეკრების, საუბრის შესაძლებლობა. სასკოლო ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებას ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებაში; უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას მატერიალური სახით, სკოლის მიერ დადგენილი წესით; უზრუნველყოფს სივრცეს დამოუკიდებელი და ჯგუფური მეცადინეობებისათვის. ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო- შემეცნებით აქტივობებს სასკოლო საზოგადოებისათვის. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბეჭდური სახით. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია თავისუფალი წვდომის რეჟიმში არსებული რესურსების გამოყენება. პედაგოგებთან ერთად

ხორციელდება საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის აქტივობები. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები, რომლებიც აქტიურად ქმნიან სოციო-კულტურულ სივრცეს, განხორციელებული აქვს პროექტები:

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება
- საჯარო რეესტრის ამონაწერი
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- ინვენტარის ჩამონათვალი
- ბიბლიოთეკის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- რესურსების ჩამონათვალი
- ვიზუალური დათვალიერება
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- ღონისძიებების და აქტივობების ჩამონათვალი და ლინკები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით . სკოლა სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის იყენებს შემდეგ მატერიალურ რესურს: 14 კომპიუტერი, 8 ლეპტოპი, 10 პლანშეტი, VR სათვალე- 5ცალი, რობოტი -MBOT-5 ცალი ; ARDUINO ნაკრები; რესურსები რობოტების ასწყობად, სანი პრინტერი, 2 პროექტორი ; მობილური სმარტ ტელევიზორი; 3D რინტერი-1 ცალი;

მათგან-საერთო სარგებლობის სივრცეში განთავსებულია 2 კომპიუტერი. 1 ბიბლიოთეკაში, 1 ექიმის კაბინეტში, 1 საქმეთა მმართველთან, 1 სკოლის დირექტორთან.

სკოლის შენობა სრულად აღჭურვილია ინტერნეტით(wifi ქსელით).

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართული ინფრასტრუქტურა გამოიყენება საქმის წარმოების გამართული მუშაობისათვის, ფორმალური და არაფორმალური განათლებისა და მოტივაციაზე დაფუძვნებული სწავლების ხელშეწყობისათვის . სკოლის

ადმინისტრაციის მხრიდან მონაცემთა შეგროვებისა და გამოკითხვების ორგანიზებისათვის, გაკვეთილების დაგეგმვისა და ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებისათვის, საკლუბო მუშაობის განხორციელებისა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისათვის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.6.1. 1. დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლაში არსებული ტექნიკით სარგებლობის უფლება აქვთ როგორც სკოლის მასწავლებლებს, თანამშრომლებს, ისე მოსწავლეებს, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზებასა და მოსწავლეთა პრაქტიკული/თეორიული ცოდნის განვითარებას. ეხმარება მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებასა და ახალი საექსპერიმენტო მოდელის შექმნაში. სკოლა მონაწილეობას იღებს კონკურსებსა და საერთაშორისო პროექტებში .
შპს ინოვაციების სკილის დირექტორის 2023 წლის 05. სექტემბერი N 2/28 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ინოვაციებ სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლის მუხლი 6 ითვალისწინებს ისტ ლაბორატორიისთ სარგებლობის წესს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.6.1. 2. დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია სკოლამ გაწეროს კომპიუტერული (ციფრული) ტექნოლოგიების გამოყენების ინდივიდუალური გეგმა.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ინოვაციების სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი(დირექტორის 2023 წლის 05. სექტემბერი N 2/28 ბრძანება);
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- იჯარის ხელშეკრულება;
- ადგილზე ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერგირებული გაკვეთილები;
- ღონისძიებების / პროექტების ჩამონათვალი ;
- ინვენტარიზაცია/ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი;
- ვებგვერდი;
- „შპს დომენებიჯი“ს შესყიდვის ინვოისი 230120-019

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

შპს „ინოვაციების სკოლის“ დირექტორის 2022 წლის 8 დეკემბრის N 2 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ინოვაციების სკოლის“ საქმისწარმოების წესი“, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს: ორგანიზების სისტემას, დოკუმენტის სახეს და მისი მომზადების, რეგისტრაციის, გამოცემის, აღრიცხვის წესს.

ასევე, კორესპონდენციის განხილვისა და პასუხის მომზადების წესს, დოკუმენტის ასლის გაცემის , შემოსული და გასული დოკუმენტის დამუშავების წესს; შექმნილი დოკუმენტაციისა და ინდ. სამართლებრივი აქტების ნომრის მინიჭების პუნქტებს. სკოლაში არსებობს :

- შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;
- გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი;
- მოსწავლეთა საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- სკოლის დირექტორის საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;
- საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.

ელექტრონულად შემოსულ დოკუმენტაციაზე საქმისწარმოების წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წერილი შემოსულია ორგანიზაციის ოფიციალურ მეილზე: schoolofinnovations@gmail.com.

შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვა, რეგისტრაცია და ნომრის მინიჭება ხდება სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად; სკოლაში შემოსული დოკუმენტის მიღებას, პირველად დამუშავებასა და რეგისტრაციას, ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, ასევე მისი ფუნქციით განსაზღვრულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზაში (eschool.emis.ge) სხვდასხვა ოპერაციების განხორციელება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით; სკოლაში მოქმედი „თანამდებობრივი ინსტრუქციის „ დოკუმენტით და სკოლის დებულებით განსაზღვრულია საქმისმწარმოებლის სამუშაო აღწერილობა.

სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი (ბრძანებები) ინომრება რიგითი ნომრებით კალენდარული წლის ფარგლებში და ხელს აწერს სკოლის დირექტორი. ბრძანებების აღრიცხვა იწყება კალენდარული წლის დასაწყისში.

ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ სამისმწარმოებლის მუშაობას: შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას, განცხადებების მიღების ფორმას, ბრძანებების გამოცემისა და რეგისტრაციას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეების წარმოებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.6.2.1 . დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლა სარგებლობს ციფრული (ელ. კვალიფიციური) ხელმოწერით, იყენებს ელექტრონულ სისტემას - ედუფეიჯს, რომლის მუშაობა საჭიროებს გაუმჯობესებას. ამაავე გვერდზე ხდება ელ.ჟურნალის წარმოება და თანამშრომელთა შორის ოფიციალური კომუნიკაცია. დოკუმენტი იქმნება ელექტრონული ფორმით.
სკოლაში მობილობა და სასწავლო პროცესის წარმართვა ხორციელდება eSchool-ის საშუალებით.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე,
ინდიკატორი 3.6.2.2 . დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა eSchool-ის ბაზები, რომლებიც სრულყოფილია. შევსებულია ყველა სავალდებულო ველი, ამავე სისტემაში ხდება მოსწავლის მობილობის, კლასის ცვლილების განხორციელება, ასევე სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვა, საგაკვეთილო ცხრილებისა და განრიგის შეტანა. სკოლის ბარათი განახლებულია, მასწავლებელთა პროფილი შევსებულია. ასევე, საჭიროების შემსაბამისად ახორციელებს ცვლილებებს. შესაბამისად,

ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

შპს „ინოვაციების სკოლა“ დროულად ახდენს რეაგირებას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საგანმანათლებლო რსურსცენტრის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და სხვა უწყებების ინფორმაციის მოთხოვნაზე. საგანმანათლებლო რსურსცენტრში კვარტალურად აბარებენ ვაუჩერის ხარჯვის მონაცემებს. სკოლის დირექტორი ანგარიშს აბარებს პაარტნირთა კრებას.

ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „ინოვაციების სკოლის“ დირექტორის 2022 წლის 8 დეკემბრის N 2 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ინოვაციების სკოლის“ საქმისწარმოების წესი“
- სკოლის დებულება;
- სკოლის წესდება;
- ფუნქციების განაწილება;
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
- რეგისტრაციის ჟურნალები;
- პირადი საქმეები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში;
- ელექტრონულ სისტემა - ედუფეიჯის ვიზუალური დათვალიერება;
- შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსი“ს ხელშეკრულება სისტემის ლიცენზიის სარგებლობაში გადაცემის შესახებ N EDU-1923-207 Edupage-ის მომსახურებასთან დაკავშირებით;
- ადგილზე ვიზიტის შედეგები;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

შპს „ინოვაციების სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბერის ბრძანება N 2/31-ით დამტკიცებულია " საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი", რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებასთან კომუნიკაციის სახეებს, ურთიერთობის ფორმებსა და პროცედურებს;
სკოლას აქვს ვებგვერდი. ვებ-გვერდზე განსათავსებული ინფორმაცის შინაარსს, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მართვის პროცედურას, სკოლიდან ოფიციალური ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირსა და ინფორმაციის გაცემის პირობებს განსაზღვრავს აღნიშნული წესი, სკოლა ზრუნავს მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ზრდაზე; სკოლა მსობელთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს სოციაალური ქსელის მესენჯერ ჯგუფებსა და zoom-ის პლატფორმას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

"საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის" მუხლი 6 არეგულირებს სკოლის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციის სანდოობის და პასუხისმგებლობის პირობებს. წესის თანახმად,

- დაუშვებელია სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში ან კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმის გამოყენებით შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება;
- სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია სკოლის აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა სახის ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს მისი დადასტურება;
- სკოლის ვებ-გვერდზე/სოციალური ქსელის გვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე სკოლაში პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი საშტატო ერთეული და სკოლის დირექტორი;

სკოლის ვებ-გვერდის/სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე ინფორმაციის განთავსების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი და IT სპეციალისტი; სკოლის პერსონალი ვალდებულია IT მენეჯერთან აქტიური თანამშრომლობით უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდის/სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდის ინფორმაციული/შინაარსობრივი ნაწილის განახლება წინამდებარე წესის მიხედვით;

ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ სკოლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია მოწმდება ადმინისტრაციის მხრიდან.

შპს „ინოვაციებს სკოლა „აქტიურად აქვეყნებს სოციალურ ქსელში სკოლის მიერ განხორციელებულ წარმატებულ პროექტებს. მაგალითად, საერთაშორისო პარტნიორობა ტალინის ტექნოლოგიურ უნივერისტეტთან, ეკო კლუბის აქტივობები (პლატმასის შეგროვება, გასვლითი ტრენინგები ლოპოტაზე , რუსთავის ჭალის გამწვანება, . პირველადი დახმარების ტრენინგები), ორბეთის - TEAM BUILDING პროექტი, ERASMUS + საერთაშორისო ბანაკში მონაწილეობა, ტრადიციების ფესტივალი, ევროპის დღე, სამაგიდე თამაში ,,არჩევნეთი'', შეხვედრა ევროპის ახალგაზრდა ელჩებთან, გაეროს მოდელირება, სამეწარმეო ფესტივალი ინლაბრუსი, პროფესიების კვირეული მშობელთა ჩართულობით და მრავალი სხვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

"საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის" მუხლი 9-ის თანახმად საზოგადოების, მათ შორის სასკოლო საზოგადოების, მხრიდან ინიციატივებისა და განცხადებების წარდგენა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესითა და განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურის შესაბამისად.

თვითშეფასების კითხვარიდან და ადგილზე ვიზიტისას ირკვევა, რომ სკოლა მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სკოლა იღებს შესაბამის ინფორმაციას. ასევე, მშობლები აქტიურად სარგებლობენ სკოლის სოციალური გვერდით/ მესენჯერით საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად, საკუთარი აზრის დასდაფიქსირებლად. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ახორციელებს გამოკითხვას და კმაყოფილების კვლევას GOOGLE FORMS კითხვარების მეშვეობით. კოთხვებით კონკრეტდება სასწავლო პროცესის, სასკოლო გარემოს გაუმჯობესების გზები, სურვილები და ინიციატივები, რასაც სკოლა იყენებს შემდგომი სამოქმედო გეგმის გასაუმჯობესებლად.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. ინფორმაცია არის ხელმისავწდომი, საჯარო და უტყუარი. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სკოლის შესახებ ინფორმაციას, მოქმედ აქტებს, წესებს, საკონტატო ინფორმაციასა და სხვა ტიპის ბმულებს. სკოლის ვებ-გვერდია: schoolofinnovations.ge. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

   სკოლას გვერდი, schoolofinnovations.ge, შეიცავს სკოლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, საჩივრის განხილვის მექანიზმები. ვებგვერდი იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას სკოლის შესახებ. ვებგვერდი არ მოიცავს ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშს.

   https://skolebi.emis.ge გვაძლევს სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას, ასევე ინფორმაციას მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობაზე.

   აღნიშნულიდან გამომდინარე,

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია

სკოლას მიეცა რჩევა: სკოლის ვებგვერდი schoolofinnovations.ge გახდოს მუდმივ განახლებადი და ყველა საჭირო ინფორმაცია განათავსოს დროულად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, 2023 წლის 08 სექტემბერის ბრძანება N 2/31

- თვითშეფასების კითხვარი
- სკოლის შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ვებ.გვერდი - schoolofinnovations.ge
- https://skolebi.emis.ge
- https://www.facebook.com/profile.php?id=100091820113115
- GOOGLE FORMS კითხვარები;
- სკოლის დებულება- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებლის ანგარიში;
- მშობლეთან ურთიერთობის დებულება :
- განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

შპს „ინოვაციების სკოლა“ არის მცირე კონტიგენტიანი და მცირებიუჯეტიანი. თუმცა, სკოლის ცნობადობის სწრაფი ზრდა უზრუნველყოფს მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდას, რაც თავისთავად სკოლის ფინანსური რესურსის ზრდის პირდაპირ პროპორციულია. ამ ეტაპზე სკოლა მიზნობრვად განკარგავს ბიუჯეტს, სრულად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, შემოსავალი ხმარდება ყველა იმ საქონელსა და მომსახურეობას, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და ნორმალურად წარმართვისათვის. სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრავს სახსრების მიზნობრიობას სასწავლო პროცესის წარმართვის, მატერიალური ბაზის განახლების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებისათვის.

სკოლის დირექტორის მიერს 2023 წლის 01 სექტემბერი, 2023 წ. ბრძანება N 2/18-ით დამტკიცებულია შპს ,,ინოვაციების სკოლის“ წლიური ბიუჯეტის შედგენის წესის “ , რომელიც ადგენს ბიუჯეტის სტრუქტურას, ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურას.

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლაში ვიზიტისას და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან დგინდება, რომ სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტისა და ფინანსური ანგარიშის დამტკიცება საერთო-პარტნიორთა კრების უფლებამოსილებაა. სკოლის დირექტორი და ბუღალტერი შეიმუშავებენ მომავალი წლის კონსოლიდირებულ ბიუჯეტს, სადაც გათვალისწინებულია სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეულის საჭიროება,

გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვები.

სკოლა ახორციელებს გამარტივებულ შესყიდვებს.

სკოლამ მიიღო რჩევა: შპს ინოვაციებს სკოლამ შეიმუშავოს შესყიდვების განხორციელების წესი
ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება
- პარტნიორთა კრების ოქმი 3
- სკოლის“ წლიური ბიუჯეტის შედგენის წესი“
- წლიური ბიუჯეტი
- სკოლის დებულება
- ბუღალტრის ფუნქცია-მოვალებები;
- ადგილზე ვიზიტის ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 04.09.2024 წ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: